

მინაური საქოვები.

ყოველ-კვირაში გაზითი

№ 42.

ვასი ერთი გაური

დღიური ვასი 4 გან.

შელიწადი მეხუთე.

კვირა, 2 დეკემბერი 1912 ცელი

„ ქართულ-გრანულ გატავ
კუნძულ საქოვები გატავ
სახურავი № 17). და იავილი გამომცემულიან საქოვები სახურავი, სამინისტროს შექმნის
მიხედვით. გამოვავ კლეველ თვეში დახირი.

ჩატანი ფასი:	1 განები.
ჩატანი ფასი:	2 განები.
ჩატანი ფასი:	3 განები.
ჩატანი ფასი:	4 განები.

ცალკე ნომერი ქუთასიშვილ ერთი
ცალკე ნომერი ქუთასიშვილ ერთი
ცალკე ნომერი ქუთასიშვილ ერთი
ცალკე ნომერი ქუთასიშვილ ერთი
აღნიშვნა: ქუთასის „ შემძლებელი“ რეპრეზიტორი.

შინაარსი: 1. საეკლესიის წიგნთსაცავები მღ. 6. ვაჭარაშილისა; 2. სიტყვა 10 გიორგობისტვეს — დეკ. კ. ირნერესი; 3. საზიარებლად მომზადება — მღ. იოანე ლუკიანოვისა; 4. სამძიმარი — გ. ბოკერიასი; 5. წ-ჯეპ-უზუქება — ხელისა; 6. კვირიდან-კვირამდე; 7. ჩვენი დანაშაულობა — მღ. 6. დევიდის; 8. კოიტუგლი შენიშვნები — ხამლელის; 9. გურია-სამეგრელოს სანთლის ქარხნის შესახებ — იმერელი გლეხისა; 10. მოწერილი ამბები — სამეგრელოს სამღელ. ტესურატა კურბა — ყ. სა; 11. წერილები რედაქციის მიმართ — მ. ი. ხოვასი და დეკ. ე. ვეფხვაძესი.

საეკლესიო წიგნთსაცავები.

კველასათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენს ეკლესიებში, საეკლოდ რომ ესთქვათ, სილვოს-მეტყველო და სარწმუნოებრივ-ზნეობრივ შინაარსის წიგნები არ მოიპოვა, რაც დიდად საგრძნობელ და საზარალო გარემოებას წარმოადგენს, როგორც სამღელებისათვის, ისე ჩვენი ხალხისაოვისაც, ამისათვის საჭიროა ამ მიერწყებულს საგანს კურადღება მივაქციოთ და თითოეულ კელესიასთან საეკლესიო წიგნთსაცავი გახსნათ. საეკლესიო წიგნთსაცავები, თავისი დანიშნულებისამებრ, დაეხმარებიან ბორწმუნეთა სულიერი განათლების და აღზრდის დილს საქმეს, კერძოდ — კი, რამდენადაც შესძლებელი იქნება, დააკმაყოფილებენ სულიერთა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა როგორც სამღელებისას, ისე მორწმუნებებისასაც. მოძღვარი, რომელიც მოწოდებულია თვისი მოძღვრული განმანათლებელი მოღვაწეო-

ბით სულიერად და ზედმინივად აღამაღლოს ხალხი, პირველად თვითონ უნდა გრძნობდეს საერთოთ საღვთისმეტყველო და საეკლესიო ხასიათის წიგნების საჭიროებას, ვინაიდგან ხეցნებული წიგნების კითხვით მას შეძლება მიეცება თავისი ცუდნა შეავსოს, თავისი თავი განვითაროს და ჯეროვნად შემზადებული უფრო სიმძლოდ და წესიერად ემსახუროს თავის დიად მოძღვრულ საჭმეს.

უმრავო ხალხისათვის საეკლესიო წიგნთსაცავები ხომ თვით საიმედო სულიერ სუნჯეს წარმოადგენენ. ხალხს უყვარს სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვა. ვინ არ იცის, თუ როგორი სასოებით კითხულობს ხალხი მაგ. წმინდანების ცხოვრებას! ვის უნდა მიმართოს მან ასეთი საკითხავი წიგნებისათვის, თუ არა თავის დედა ეკლესის? აქ იყი იმოძღვრება ლეთისმსახურებით და მოძღვრული ქადაგებებით, აქიდანვე უნდა დებულობდეს იგი სხვა-და-სხვა საკითხავ სასულიერო წიგნებს თავისი თავის სულიერად განსავითარებლად და ასამაღლებლად. საეკლესიო წიგნთსაცავებიდან წალებული წიგნები დახლოვდებს მას ეკლესიასთან და მიაჩვენეს მას უფრო მეტი სასოებით მოეკიდოს საეკლესიო ლეთისმსახურებათა. ეკლესიდანვე წალებულ წიგნს ხალხის თვალში ყოველთვის მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე სასულიერო შინაარსისავე წიგნს, მაგრამ მის ხელში ჩივარდნილს ვინმე კერძო პირისაგან. წიგნების მიწოდებით საეკლესიო წიგნთსაცავები ხალხს იმ დიდს ამაგაც გაუწევდნენ, რომ ხალხი აღარ მიეტანებოდა სხვა-და-სხვა უსარგებლო და ხანდახან პირდაპირ საზარალო და უმნიშვნელო წიგნების კითხვასაც.

კარგი მოწყობილი საეკლესიო წიგნსაცავები ქალაქებში დიდ სარგებლობას იმმოუჩენენ განათლებულ პირთაც, ვინაიდგან იგინი გაეცნობოდნენ სასულიერო მწერლობას მათ მიერ დღემდის თოთმის გაუცნობელს და თავისი ცუდნის შევეძით სარწმუნოებაზე, ეკლესიზე და ქრისტიანულ ზენობაზე გამოიცნობლენ და განმარტავდნენ თავის სარწმუნოებრივ ეპვებს და შეკომებს.

უშმიდესის სინოდის მიერ ნებადართულია წიგნების შეძენა საეკლესიო წიგნთსაცავებისათვის ეკლესიისავე საშუალებით. მხოლოდ საჭიროა ამ საქმეს თანაუგრძნობ და რამდენადც შეიძლება მის განხორციელების ხელი შეუწყონ ეკლესიის მნათებმაც, რომელთაც, სამღვდელოებამ უნდა ჩაგონოს, რომ საეკლესიო წიგნთსაცავები საჭირონი არიან საღვდელოებისა და ხალხის სულიერთა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლიდ, და მნათებმა, როგორც ხალხის ვექილებმა, უნდა იზრუნონ არ შარტო ეკლესიის ნაკთიერი წარმატებისათვის, არამედ ხალხის სულიერი ამაღლებისათვისაც. წიგნსაცავების მოწყობის საქიში დიდი შინაშენელობა ექნება აგრეთვე კერძო პირთაგან შეწირულებისაც. ის მაღლიანი პირები, რომლებიც ეკლესიის გამშვენებისათვის თავის საშუალებას არ ზოგავენ, არც საეკლესიო წიგნთსაცავების დასაარსებლიდ დაზოგვენ თავის წვლილს. ამ საჭმის მოწყობა სანძელო არ იქნება, მხოლოდ სამღვდელოება უნდა ვეცალოთ, რომ შესაფერი წიგნები მოვაწოვოთ ეკლესიებს, მოვძებნოთ მათი შესანახი შესაფერი ადგილი ეკლესიაში და წიგნები დაუზარებლად მივაწოდოთ ხოლმე ხალხს. ამ საჭმის უნდა დაეხმაროს აგრეთვე იმერეთ. შ. გორგის სარწმ. გან. „მმობაც“. შესაფერი სასულიერო და ზენობრივ შინაარსის წიგნების გამოცემით. რასაკიორველია, პირველად ეს საჭმე მცირე იქნება, მაგრამ იმედია თანდათან გაფართოვდება და უკეთესადაც წავა. თუმცა ასეთი წიგნთსაცავები საჭირონი ირიან როგორც სამრევლო, ეს იგი თითოეულ ეკლესიასთან, აგრეთვე სამღალოებინო და საეპარქიოც, სამრევლო უფრო ხალხისათვის, სამღალოებინო და საგარენოებით-კი უფრო სამღვდელოებისათვის და აგრეთვე განათლებული საზოგადოებისათვისაც, მაგრამ განსაკუთრებით ჩქარა უნდა უკეთესა სამრევლო, ე. ი. თითოეულ ეკლესიასთან, წიგნთსაცავების გახსნას, რომლებითაც ისარვებლების პირველ ხანებში როგორც ხალხი, ისე სამღვდელოებაც. საჭიროა ამ საგნის შესახვა მსჯელობა იქონიოს სამღვდელოებაში სამღალო-

ჩინო და საპარტიო კრებებზე, რათა ერთს გარეულ გზას დააღვეს იგი ამ საქმის საზოგადო წესიერად და რიგიანად წაყვანისათვის.

მრ. სურგი მაჭარაშვილი.

სიტყვა,

თქმული 1912 წელს გილობისთვის
10 ქვემეთის წმ. გილობის ტამარშ.

წმიდაო მთავარ-მოწამეო
და ღვაწლით შემოსილი გი-
ლობი, ევლრე ღმერთსა ჩვენ-
თვის.

წმ. მთავარ-მოწამე გილობი. რომლის სა-
ლოცავ-სადიდეტლად ჩვენ შევკრებილვართ
დღეს აქა, იწოდება წმ. ეკლესის მიერ ტყვე-
თა-განთავსუფლებელად და გლახაკთა-ხელის
აღმზყრბელად, სნეულთა მეურნალად და მე-
ფეთა უძლეველად წეს-მმდოლად, ე, ი. აღა-
მიათა საკირველ-მოქმედ შემწედ და მეობად.
ამითი აისწება ის განტბომელი პატივისცემა
და შეურყეველი სასოფა, რომლითაც განმსჭა-
ლული იყო ჩვენი ერი წმ. გილობისადმი. კირ-
სა და ლხინში იგი იხსნიებდა წმიდა გილო-
ბის, თითქმის ყოველ ოჯახის თითო-წევრს მის
სახელს უწოდებდა, ყოველს მთასა და ბორ-
ცვენედ მის სახელზედ აშენებდა ტაძარს თუ
არა... ნიში მაინცა...

დღეს კი ამას ვერა ვხედავთ: ჭირსა და
გზისკუთრებით ლხინში ნაკლებად ვაგონდება
წმ. მთავარ-მოწამე, ახალი ტაძრების აშენების
მაგირ; ხშირად ძელებს ვანგრევთ, ნიშებსა
და ხატებს გამშენების მაგირ-ვძარუვათ და
ვანადგურებთ, ხოლო სარწმუნოებასა და სა-
სოფაზედ თითქოს ხელიც აგველო.

ამის შემხედვარე ზოგიერთი ქრისტიანები
ძელებს დროს იგონებენ და გულმრტებენ ულად
აბბობენ: ურწმუნება გამრავლდა მისოვის,
რომ დღეს ელარ ვხედავთ საკირველებათა
და საწაულთა, ახლანდელს თაობას, რომ სა-
კუთარის თველით ენახა რამდე სასწაული, უკ-
ვლად ღვთის მოსაფი და მოწმუნე იქმნებო-

და. ასე მსჯელობენ მრავალნი და დარწმუ-
ნებულნიც არიან, რომ პირი მათი იტყვის
კეშარიტებასა..

მართლადაც, რატომ ვერა ვხედავთ ჩვენს
დროში სასწაულებსა? იქმნება სასწაულების ძა-
ლით ურწმუნოება მართლადაც მოისპოს? იმ
საკითხის პასუხად უნდა მოვიგონოთ, რომ სა-
სწაული ღვთის წყალობაა მორწმუნეთა მიმართ
და ასეთი სასწაული ქრისტეანეთა შორის ბევ-
რი მომხდარა და მოხდება კიდევ, მაგრამ ურ-
წმუნო აღამიანისათვის მათ სარწმუნოება არ
მოუნიჭებიათ. ამ აზრის დასასურათებელად მო-
ვიგონოთ ერთი ამბავი, რომელიც ყველასათვის
თვალსაჩინოა,— სახელდობრ ქრისტეს სჯულის
გავრცელება. ვინ გაავრცელა ეს სჯელი, სიოთ-
გან, ან ვინ იყვნენ მისი მქადაგებელნი? ისინი
იყვნენ არა განთქმულნი მეცნიერნი, არა გამო-
ჩენილნი შეკრ-მეტყველნი, არამედ უბრალო
ურიანი, ღატაკი მეოვეზურნი, მკვიდრნი ყვე-
ლასაგან სასაკილოდ აღმულის გალილეანი. მათ
ჰეიდაგეს სახატება ქრისტეს, ურიათვან
აღსარებელი საცოტრად, ხოლო წარმართოვან
სისულელედ (1 კორ. 1,23) და ამ სახარების
ქადაგებისათვის განიცადეს ცემა და გვემა, ტან-
ტა და სიკვდილი. მერმე რით გათავდა ყოვე-
ლივე ეს? გათავდა მით, რომ ურიათა და წარ-
მართა ათა-ათასობით მიიღეს ქრისტეს სჯუ-
ლი და სამი საუკუნის შემდეგ წარმართული
მსოფლიო-მხედველობა შეიცვალა ქრისტეანუ-
ლად. აბა გვიჩენოს ვინმებ რამდე მსგავსი ამისი
კაცთა სწავლის გაფრცელების ისტორიაში!?
სწორედ ამ ისტორიითან ვიცით, რომ თუმცა
კაცობრიობამ წარმოშობა უმრავლესთავან უმ-
რავლესნი მსწავლულნი და მეცნიერნი, მაგ-
რამ ერთის მოძღვრება ხშირად უარ-ყოფდა
მეორის, ასე რომ არც ერთს მოძღვრებას
არ გადულისხმებს სწავლარი ორის ან სამის საუ-
კუნისა. მაშინ როცა ქრისტეს მოძღვარება
სდგას შეურყეველად და ბრწყინვალედ ანათებს
აქამიდე. კეშარიტალ, საკირველ არიან
საქმენი შენი, უფალო!

მაგრამ არამც თუ გავრცელება ქრისტეს
მოძღვრებისა, არამედ თვით მისი ასებობაც

კი სასწაულია. თანახმად წინასწარმეტყველებისა უფლისა ჩვენისა იქნა ქრისტესა, მის მოძღვრებას წინააღმდეგა თვით ჯოჯოხეთი და ყოველივე ძალი და ღონე იხმარა მის წინააღმდეგ. ძალმომრეობა და ორგულობა, დევნა და შვალებლობა ჩხარებულება იქმნა ჯოჯოხეთის მიერ ქრისტეს მოძღვრებასთან ბრძოლის დროს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გასჭრა: რამდენადაც განაძლიერეს დევნა ქრისტეს სჯულისა, იმოდენად უფრო განტკიცდა და ამიღლდა იგი, ამ უმხალითო ბრძოლითგან ქრისტეს მოძღვრება გამოიყიდა გამარჯვებული. განა ეს გამარჯვება მომასწავლებელი არ არის იმისი, რომ ქრისტეს მოძღვრება მონიცებულია ზეცით ლოთის მიერ? გარდა ურწმუნოთა ეს ვერ შეიგნეს და განაგრძობენ ამ ლოთიურ მოძღვრებასთან უნაყოფებდ ბრძოლასა! [გარდა ამისა, განა თვითო ამ სარწმუნოების შემცირების დროს კორი სასწაულები მოხდება ხოლმე? განა თვითო-ეულს ჩეენვანს არ მოულია შემწეობა ზეციურის მამისაგან სწორედ მაშინ, როცა საშველი არსაიოგან არ ყოფილი მოსალოდნელი? განა იშვიათად მომხდარა, რომ ექიმთა მიერ განუკურნებლად მიჩნეულ სენს დაუნებებია ავად-მყოფისათვის თუ სწორედ ამა თუ იმ წმიდანის ან ხატის მოლოცვის შემდეგ? უფლის სიტყვა: მე თქვენთან, ვარ უკუნისამდე (პატ. 28, 20) არ დავარდების და სწორედ მის გამო ეხლიც ბევრი მიიღებს ლოთისაგან სასწაულებრივ შემწეობას, მაგრამ ურწმუნება რის ურწმუნოება არის, თუ ყოველივე ლოთიებრივი და სასწაულებრივი არ ურჩიყო?! საუცხოვო მაგალითს სასწაულთა უარყოფისას წარმოადგენს დრო ქვეყნად უფლის იქნა ქრისტეს ცხოვრებისა. თუმცა უფალი იქმნდა მრიგალოთ სასწაულთა და საკურველებათა მაგრამ იმ დროის ურწმუნონი-ფარისეველნი და შრიგნობირი მაინც სასწაულსა ითხოვდენ უფლისაგან ზეცით (პარ. 8, 11) და თუმცა ეს სასწაულიც მიიღეს, ქრისტეს ჯვარუმას შემდეგ, ოდეს ბნელ იუო უოველსა ქვეყნა-სა და დაბნელდა მხე (ლუკ. 23, 44-45), მაგრამ მაინც არ დაჭაუყილდნენ... უფალმა

სხვა უმეტესი სასწაულიც უჩვენა: ჯვარუმისა და სიკვდილის მესამე ღლებს შემდეგ დაბეჭდულისა და დაცულის საფლავითგან აღსდგა მკედრეთით და მით ცხად-ჰყო თავისი ლოთიებრივია, მაგრამ ურწმუნოებამ თავი იქაც იჩინა: მცველი მოსიყიდეს და ათქმევინეს ყოვლად უმსგავსო სიცრუე: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდენ და წარიპარეს იგი ვიდრე ჩვენ გვა-ძინაო (მატ. 28, 13): მცველებს ქძინათ, მყვან მპარავნი კი დაინახეს, მპარავთ ხმა არ გასცეს და ამისათვის ვეხცხლი მიიღეს ჯილდოლ! განა შეიძლება ზნეობრივად ამაზედ უფრო და-ცემა!? სჩანს, სასწაულები ვერას ასწავლიან მათ, ვისიც გული ცივია კეშმარიტებისათვის! გულ-ცივთ კი ქრისტეს მოძღვარება მით უფრო არ ესიამოვნებათ, რომ იგი ჟარალგებს აღვირსხმას ბოროტა გულის თქმათა და ჩვეულებათა, ეს კი აიწროებს მათ პირუტყულ და განუსაზღვრელს თავმყენებისა და თავისუფლების. ხო-ლო ვინც ამ რიგად არის განწყობილი ქრისტეს სჯულისა და მოძღვრებისათვის, მისთვის სასწაულები ისეა უმნიშვნელო, როგორც ეგვა-ტელებისათვის მოსე წინასწარმეტყველის დროს და ფარისევლებისათვის უფლის ქვეყანად ცხო-ვრების დროსა...

გაშ, ნუ გაიკვირებთ, საყვარელნო, თუ ჩვენს დროში იშვიათიდ ველირსებით ხოლმე სასწაულსა, ნუ დაივიწყებთ, რომ სასწაულს ადგილი არა იქს იქა, სადაც ლოთის მოწყობების მისტებად ნიადაგი არ არის მომხადებული, ამიტომაც თუ გვსურს უფალმა გაგვხადოს ლირსად სასწაულისა. უნდა განვიწმიდოთ გული ჩეენნი ყოველისაგან ბიწისა, განვაწყოთ ფერხნი ჩეენნი სლვად გზისა სიმართლისისა, ხო-ლო ხელი ჩეენნი ქმნად კეთილისა. ამინ.

დავ: პ. ცინცაძე.

საზოგადოებრივი მოგზაურება.

კვლებოდა მამა... მის სარეცელთან იღვა შეილი — გარეწარი, ქირაფშუტა ყმაწვილი-კა-ცი. მამა დიდ-ხანს სუდილობდა მის მოცვევი-ნების, მაგრამ ამიღდა: არც რჩევა, არც ხეეწია

არც დარიგება არ მოქმედობდნენ ყმაწვილზე. შვილი დღე და ღამე დაკარგული იყო, ღუპავდა ქვეითში თავის ჯანმრთელობას და ნიჭე. მამამ იდარდა ეს, აეად გახდა და ეხლა ელოდა თავის სიცოცხლის აღსასრულს.

— ჩემო საწყალო შვილო,— ეუბნებოდა მომაკუდავი მამა შვილს. — მე სიცოცხლე-კი არ მენანება, მენანები შენ. ერთად-ერთი მყავარ შენ მე. გულით მინდოდა ჩამენერგა შენთვის უკველივე კეთილი, წმინდა; აღმეზარდნე ერთგული მუშავი ლეთისა და ხალხისა; ეხლა-კი ძალიან მემძიმება, რომ ჩემთა, ცდამ უნაყოფოდ ჩიიარა. მე არ გაყვედრი შენ, არა გოხოვ ფიცეს, რომ გასწორდები; გოხოვ მხოლოდ ერთს: პირობა მომეცი, რომ ჩემი სიყვლილის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ დღეს ორ-სამ საათს მოხვალ და გაატარებ იმ თახში, რომელშიაც მე ეხლა ვკვდები.

გაუკვრდა შვილს ასეთი ხეწინა მამისა; მაგრამ, რომ რითიმე ენუგეშებია მამა, რომელსაც ამოდენა მწუხარება აგრძნობინა, დასთანხმდა მას.

გარდაიცვალა მამა. დამარხეს. მოვიდა შვილი მამის თოახში. ცალიერია, — არავინ არის შიგ. იღარ ისმის იქ თავის მომაბეზრებელი საყვედური. სრული თავისუფლებაა; იცხოვრე, როგორც გინდა.

აგონდება შვილს მამის დარიგება, მასი სეკლიანი თვალები, მწუხარებით აღსავს ხმა.

„კუუყარდი მამა ჩემს, — ფიქრობს შვილი: — მართლა უნდოდა, რომ მე კეთილი, პატიოსანი, ფხიზელი კაცი გმოვსულიყავი. დიდისანია დაქვრივდ და მთელი თათვისი სიყვარული მე მომანარა, როგორ ნაზად მიალერსებდა მე ის ყოველთვის, როგორ გულიანდ მელაპარაკებოდა მე ის ღმერთზე, სიმართლეზე, კუთხლ ცხოვრებაზე, როგორ უხაროდა იმას თითეული ჩემი კეთილი საქმე, გონივრული აზრი; შე-კი რითი გადაუხადე მას!“

გადიოდა წუთი წუთზე, და შვილის ხსოვნაში თნდათან მოდიოდა სხვა და სხვა სურათები თავის გარყენილობისა. რა. ცუდი:

რა სირცხვილია! უნდოდა დაევიწუნა, ეფიქრა რომ ეს არ მომხდარა.

გავიდა დაპირებული სამი საათი; შვილი მანქც კიდევ იჯდა იქ, და თავი დაბლა დაეხარა, თვალებზე ცრემლები ცომციმებლენენ. ამ დღეს ის აღარ წასულა თავის ჩვეულებრივ მეგობრებთან.

მეორე და მესამე დღეს შევიდა კიდევ მამის თახში. უფრო ნათლიად წარმოუდგა სახე მამისა, ცოცხლად იგრძნო სიმწარე საყვედურისა, საზიზლრად ეჩევნა თავისი წარსული ცხოვრება. წინათ არ ჩაფიქრებულა თავის თავზე დაბედური ჭაბუკი. არასოდეს არ ჩაუხედია თავის სვინდისში; გულიც დამშვიდებული ჰქონდა. ეხლა გარს მიმოიხდა, გულმოდგინედ, და შეეშინდა: ნუ თუ ეს ის კარგი საყვარელი ბიჭია, რომელიც ბავშობაში იყო? რა დაშმართია მას! გაფუჭებულა, გაველურებულა, დაცემულა. საჭიროა გამოსვლა ტალაბიდგან, მანამ სრულიად არ ჩანთქმულა.

მამამ იცოდა, რას აკეთებდა, როდესაც სოხვა შვილს კვირის განმავლობაში ირა სამი საათი გაეტარებია მარტოობაში. შვილი ამ ხანში თითქოს გამოიტანდა დიდი ხნის სიმოვრალის ჟემდევ. მიხვდა, დაიწყო თავის თავზე მუშაობა, შეუდგა ცხოვრების სხვა გზას.

იცის აგრეთვე ჩვენმა დედმზ—მართლმალიდებელმა ეკკლესიამ, — რას აკეთებს, როდესაც გვინიშნავს ჩვენ დროს საზიარებლად მომბზადებისათვის. ჩვენი ცხოვრება, როგორც მორევი, გვატრიალებს და გვაბროწიალებს ჩვენ. სხეადასხვა საქმებში, მზრუნველობაში გართულებს აღარცუ გვაცლიან ვიფიქროთ; რას წარმოვადგენთ ჩვენ? რათა გართ გაწენილები, რათა ცხოვრობთ? როგორ გაგვავს ჩვენი სიცოცხლე? ვექვევით ისე, როგორც უნდა ვიქსოდეთ, თუ არა? ცხოვრება მივაჭნებს ჩვენ, როგორც წყალი ნაფორს, „სად არის ნამდვილი გზა? საით უნდა წავიდეთ? ვინ ჭიშკრობს ამაზე? დედა-ეკლესია ამიტომ გვთხოვს: „დალექი, გაჩერდი! დასტოვე წელიწადში თუნდა ერთი კვირა მანქც ცხოვრების ერთამული

და დაუფიქრდა შენს თავს. მიეცი შენს თავს ანგარიში შენს აზრებში, გრძნობებში და სიქ-
მეებში. ყოველ საქმეს ანგარიშს უკეთებენ წლიურს. გააკეთე შენ ანგარიში: მოგმატა
თუ მოგაყლდა, შენ წელიწადში ლვის სიმიჩ-
თლე!

თუთვეული ჩვენგანი განიცილი ცხოვრე-
ბას ერთხელ, და ამიტომ ცხოვრების გზა ჩვენ-
თვის თითქოს წააგიას გზას უწოდ ქვეუანაში
საჭიროა დრო გამოშვებით გავჩერდეთ და მი-
მოვიხდოთ, ხომ არ ივციდოთ ჩვენ ნამდვილ
გზას, საჭიროა დავისცენოთ ხოლმე. შემოვკ-
რიბოთ ახალი ძალები და შემდეგ გავუდეთ
კიდევ გზას. ასეთ დასკვერებათ ჩვენი სულისათ-
ვის არის დრო ზიარებისათვის მომზადებისა.
დედა-ეკლესია ამიტომ გულს-მოდგინეთ მოგვი-
წოდს ამაზედ ყველას ჩვენ.

ძველ აღთქმაში მოსეს რჯულში ნათქვამი
იყო: „ექვსი დღე კვირაში აკეთე შენისაქმები,
მოაწყე შენი კეთილდება, ხოლო მეშვიდე
დღე შესწირე, მიეცი ღმერთსა. ემსახურ ქვე-
ყნად ლვთის საქმეს.“ აქ არის აღნიშნული არა
უმაღლესი, არამედ თვით უსუმბუქესი მოთხო-
ნა. „თუ თქვენ ისე გაქსუვებულები ხართ,
— ეუბნებოდა მცნება მოსესი ებრაელებს, — რომ
არ შეგიძლიათ სრულიად დაივიწყოთ თქვენი
საქოდავი და წვრილმანი საქმები ლვთის და-
დო საქმის გულისათვის, პაშ იღეთ კვირაში
ექვსი დღე, ხოლო ღმერთს მთლიან შეწირეთ
ერთი მაინც.“ ასეთს შემსუბუქებას გვიჩერებს
ეკლესია. პალე მოციქული სწერს ქრის-
ტიანებს: „მოუკლებელად ილოცვდით („თე-
სალ. V, 17), მუდამ იქმნიეთ ლოცვის გან-
წყობილება; რასაც უნდა აკეთებდეთ, პირვე-
ლიდ იქმნიეთ სახეში ლვთის დიდება; ყოვე-
ლივე თქვენი აზრი, სიტყვა და საქმე იყვეს
განწმენდილი ლოცვით. „სკამთ, თუ სკამთ,
— გვასწავლის მოციქული, — ინ სხვა რამეს აკე-
თებთ, ყოველსხვე საღიღებელად ლვთისა იქ-
მოდეთ.“ ყველანი ჩვენ ლვთისნი ვართ, და
მთელი ჩვენი სიცოცხლე ეკუთნის ღმერთსა;
ჩვენი ცხოვრება უნდა იყვეს ერთი განუწყვე-
რელი ლვთის-მსახურება. მაგრამ როგორც იუ-

დელებმა ქრისტე მაცხოვრის დროს გადააქ-
ციეს ტაძარი საქოლნის ეზოდ, სადაც ჰყიდ-
ლენ ხარებს და ძროხებს, ეგრეთვე ჩვენც მთლიად
ჩვენი ცხოვრება, ნაცვლად ლვთის-მსახურებისა,
გადაგვიქცევია ჩვენ ამოების ბაზრად. ამიტომ
მზრუნველი დედა-ეკლესია შეგვაგონებს ჩვენ:
„თუ თქვენ მაინც და მაინც მუდამ ვერ აძ-
ლვთ თქვენს ცხოვრებაში ანგარიშს, მაშ ერ-
თხელ მაინც წელიწადში, ერთ კვირას მაინც
ოცდა-თორმეტ კვირაში განთავისუფლდით
ჩვეულებრივის ამაოებისგან.“ როდესაც მდი-
ნარე თვის მორევში იტრიალებს და აპროწია-
ლებს წყალს, იგი ისე იმღვრევა, რომ მზის
სინათლეზედაც-კი იმაში არა გამოჩნდება; მაგ-
რამ აბა ამოილეთ წყალი მორევიდგან, გაან-
თვისუფლეთ პროწიალიდგან, ცოტა ხანს და-
დგით,— მთელს თვის კუპს და სიმღერის
ძირს დაილევაშს, და წყალი მშვენიერად დას-
ტიკება, დაიწინდება. ეგრეთვე საჭიროა, დააწ-
კნოთ სიმღერი თქვენის სულისა, დროებით
მაინც მოშორდეთ ცხოვრების მორევს; დარჩეთ
მარტოდ თქვენ თვეთან და ღმერთთან.

მღ. ოთანე ლუკიანოვი.

სამძიმარი.—

(სტეფანე ძიმისტრანდების ხსივნას).

მთა — კორტოხზედა წარმოშობილმა,
თვისუფლების ერთგულმა შეიღმა
მოკლე სიცოცხლე, შეამ-გესლიანი
განვლე, გააპე გზა ეკლიანი.

დღიურ ვარამში ჭედდი იმედსა;
არ დაემონე უბედურ ბედსა;
გრწამდა, — საცაა, გაჲქრება ბნელი,
რომელს მოჲყვება დიღა ნათელი...

დიახ! შენ, დაუვიწყარო სტეფანე, იმე-
დი არ მოგშორებია უკანასკნელ წუთებამდინ და
ის გაცოცხლებდა, გამნევებდა და გამღერებ-
და... ვინც დაახლოევებით გიცნობდა, მან კარგად
იცის, რომ შენ, მოუხედავად ძალზე გაქიღა-
რავებისა და დაქანცვისა, სული ნათელ-სპერა-
ცი გედგა მოდუნებულ სხეულში; შენში მნე-

ობდა კაბუკური აღმაფრენა; შენს მკერდში სცენა გაუტეხელი გული. შენ ღრმად გწამდა კეთილი მომავალი ძეირფასი სამშობლოს. ხოლო ამ კეთილ მომავალს ტურფა ქვეყნისა საფუძვლად უდებდი ნორჩი შთამომავლობის კეოლად აღზრდას; აღზრდის საძირკველად კი გრწამდა დედა-ენის საფუძვლიანი ცოდნა.

სამშობლო ენა იყო შენი სატრუქიალო საგანი და მის მასწავლებლობაში დალიე უკანასკნელი წუთი. (გარდაიცვალა ქართულის ენის გაკვეთილზედ — კლასში).

გაკვეთილი და ვიტყვი: საუკეთესო ლექსი ჩენენს ლიტერატურაში, მოგონება დედის დარიგებისა, რომელიც საქსებით გამოპარავს სამშობლო ენის უაღრეს შენიშვნელობას ხალხის გონებით ამაღლებაში და ზნეობით განმტკიცებაში, შენ, მხოლოდ შენ გვკუთნის, და, თუმცა, სამშობლო ლიტერატურის ძვირფასი განძი, რომელზედაც აღიარდა და იჩრდება ათა-ათასობით საქართველოს ახალგაზრდობა, სხვად დაისაუთრა, როთაც სახელი მოიხვევა, ხოლო შენ ხმა არ ამოიღე, ეს გარემოება სრულიად არ გამცირებს; პირიქით ერთო-ორად გამაღლებს ამ უტყუარი ფაქტის მულტეთა თვალში.

შენ უკანასკნელ წუთგამლინ დარჩი შენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობის ერდგული დარაჯი; გრწამდა მისი აყვავება და იყვით მარად ამისი წინასწარმეტყველი, რის გმო შენი სულიერი სახე უცვლელი იქმნება ჩენენს ხსნენაში.

მშეიდობით, ერთი შეილთა ერთგულო მასწავლებელო!

დიალი გრძნობის, სამშობლო ენისაღმი სიყვარულის, გულში გამდვივებელო!..

გეთხოვებით გულის წეითა და წრფელი მადლობით! შენი კეთილი ნაშრომი გაუქრობელ ლამპრად ექმნება საცოდავ შენს ობლებს. ნუ მოგვყება მათი ჯავრი. ხალხმა, რომლის კეთილდღეობასაც შენ ემსახურებოდი, უკვე გაახილა გონების თვალი, რაც თვედებია მიმისა, რომ შენს ნორჩი ობლებს გაუჩნდება კეთილი პატრონი, რომელიც პოსტმენდის მათ მდუღარე ცრემლებს...

საუკუნო იყოს ხსნება შენი, პატიოსანო და თავმდაბალო მოღვაწევ!...

გ. ბოერია.

წაჯექ-უკუჯექობა.

ამის მეტი შესაფერი სახელი ვერ მოუნახეთ ჩენ ღარიბ ქართულ ენაში იმ პირთა უმ-გვან მოქმედებას, რომლებიც ჩენი საეკლესიო შეკლების ბედ-ილბალს განავებენ. იგერ ოცდა ხუთი წელიწადია, რაც საცოდავ საეკლესიო შეკლების მასწავლებლებს დაპირებით ჰკვებაუ-დენ და რაღაც სახედრის საკვების ფასათ მუ-შავებდენ; ბოლოს, როგორც იქნა ჯამაგირი (?) 30 თუმნათ გაუხადეს. მაგრამ რა მოხდა? ჯერ კიდევ რომ წელიწადი არ გასულა და საბრა-ლოებს ეს უმაღლესად ბოძებული ჯამაგირები შეუკეცეს. მომავალი წლიდან მათი ჯამაგირი-დან როკმპლეკტიან შეკლების მეორე მასწავ-ლებლები უნდა დაყმაყოფილონ, რომლებიც აგერ რომ თუ სამი წელიწადია უჯამაგიროთ მსხურებენ, ე. ი. მიედინ შემშილს ეწევან. თქმა არ უნდა, რომ მეორე კომპლექტის მას-წავლებლები ცოდონი არიან, მაგრამ რა მათი ბრალია, ვისაც სრული ჯამაგირი აქვს? ვინც ეს მეორე კომპლექტიანი შეკლები გააჩინა, ჯამაგირიც მას უნდა დაენიშნა თვის საკუთა-რი ჯიბიდან და არა სხეისი ჯიბიდან. თავიდ-განვე უნდა გაფორმოსწინებით წენი შეკლე-ბის შებედისწერებს და სილაზე არ უნდა ა-შენებიათ მეორე კომპლექტები. ეხლა რა გა-მოდის? — გაყოფილი ჯამაგირი ვერც ერთს და-აკმაყოფილებს და ვერც მეორეს, ორივე მში-ერი დარჩება და ეს გარემოება კი ცუდ გავ-ლენას იქნიებს შეკლებზე. ვინ არის დამნა-შავე ისეთ განკარგულებაში? ისინი ვანც ჩენი შეკლების ადგილობრივ უმაღლეს ბატონ-პატ-რონად ითვლებიან და შეკლებისა და მათი მასწავლებლების იმდენი შესკირთ, რამდენიც მგელს ცხვრებისა. ობოლ მაგალითხაც მოგი-ყვანთ: ქუთასის მწვანეუვავილის შეკლის მას-წავლებელს, რომელიც დღემდე საუკეთესო მასწავლებლაც ითვლებოდა და რომელსაც მად-

ლობის შეტი არავითარი შენიშვნა არ მიუღია, ჯამავირი შეუმცირა ბ. ავერკიევია. როგორ ფიქრობთ, რისთვის? შეოლაში სასურველი „უსპეხი“ ვერ უპოვნია. აյս მოგახსენეთ ამას წინეთ, რომ ბ. ავერკიევი რეინის გზისთვისაა შექმნილი და არა შეოლისთვის მეთქი: დაიჭირა კანლუქტორი უბილეთო მგზავრით და ჩააჯარიმა; დაინახა შეოლაში ნაკლები „უსპეხი“ და მასწავლებელიც „ჩასწრაფა“. რომ ბ. ავერკიევის ახალმოდის პედაგოგური ზომა დაკანონდეს, სწავლა - განათლების სამინისტროს ნახევარი ხარჯი მაინც უყანვე დაუბრუნდება. იმდენი ნაკლებ „უსპეხიანი“ მასწავლებელი და პროფესორი აღმოჩნდება. ეს ზომა რომ ლოლიკურად გვატაროთ თვით ავერკიევი ერთ კაპეის ვერ აიღებს თვის წლაური ჯამავირიდან, რადგან მასწავლებლების ცუდი „უსპეხი“ საკუთარი მისი ცუდი უსპეხია. ბ. ავერკიევისაგან ურ გვიკვირს ასეთი არა პედაგოგური ზომების ხმარება, რადგანაც „რაც არ იციან, რასა იზიან“, მაგრამ გვაკვირვებს იმ გამოცდილ და გამობრძედილ პედაგოგთა საჭირო, რომლებიც საეკლესიო შეოლების „სინედრიონში“ სხედან. არ გვესმის რანაირად მოუბრუნდათ ხელი ასეთ დადგენილებაზე მოსაწერათ? მაგრამ მის მეუფებას ყოვლადსამღვდელო გიორგისაც ხომ შესაფერი რეზოლუცია უნდებია: „такъ не поступаютъ съ пакетами и поварами“.—т. ერთიც ვნახოთ, „სინედრიონის“ განახენი „ბეზაპელაციონი“ ყოფილიყო, ხომ დაეკარგებოდა საცოდაჲ მასწავლებელ ქალს ექვსი თუმანი ფული და მერე როგორ მასწავლებელის?— რომელიც აგრ 12—13 წელიწადია ერთ და იმავე შეოლაში შეასურობს.

ზაგრამ ამით მარტო თ თავდება მასწავლებლების წაჯექ-უკაჯექმიდა. ბ. ბ. მოთვალ-ყურეთა პედაგოგური გამჭრიახობა საჩერის შეოლასც სწვდა. ეს შეოლა, როგორც ვიტით ისტორიული შეოლა. მის დაარსებისთვის თვით დასცვა ორმა დიდიდ პატივუფულმა პირმა, უკვეთად სამღვდელო მეტ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა და დეკ. ი. აბაშიძემ. შემდეგ დიდი

შეწირულება, დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს ამ შეოლის ბ. ლიმიტრი ივანეს ძე აბაშიძემ, რომელიც ამავე შეოლის მზრუნველია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და ბ. ილარიონ გამყრელიძემ, რომელმაც 3—4 ათას მანეთათ ღირებული ადგილმდებარეობა შესწირა თვით სამღვდელოებამაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ შეოლის ბედისწერაში. ეხლა უნდა განიხილოთ ეს შეოლა სწავლა-აღზრდის მხრით, თვით სახალხო ინსპექტორ-დირექტორები განციფრებაში მოღიოდენ ამ შეოლის შეგირდების ცოდნით და ყოფაქცევით და მასწავლებლების ნიჭით და ბეჯით-ბით. ეს შეოლა, ასე ვსთქვათ, დედა ყველა დანარჩენ შეოლებისა დ. საჩერებეში. აი ასეთ ისტორიულ და ერთად ერთ შესანიშნავ შეოლის მთელ იმერეთის ეპარქიაში მიაღებ ბ. ბ. მეთვალყურეები, აითვალწუნეს თავის მასწავლებლინა და მეონი სულ განადგურებასაც უპირებენ. ყოველ შემთხვევაში პირველი ნაბაჯიუვე გადადგმულია. მასწავლებლებისთვის ჯამიგირები შეუმცირებით, რაც „მიბრძნდით“-ის ნიშანი გახლავს და ეს უკანასკნელი კი შეოლის დაცემის.—ნუ დავივიწყებთ რომ ამ შეოლაში დიდი ხნიდან მსახურებს ორი დამსახურებული და გამოცდილი მასწავლებლი, მ. ბლალ. მღვ. ვლადიმერ აბრამიშვილი და ბ. იასონ ლამბაშიძე, რომლების გამოცდილებას და საქმეში ჩახდულობას ვერ დაიწუნებდა ვერც ერთი ჩერი შეოლების ყოფილი მეთვალყურე. და მით უფრო ეხლანდელნი, რომლებიც, სამწუხარო უნდა ვსთქვათ, ვერ დაგრან თავის დიდ მოწოდების სიმაღლეზე. ამ ორი პედაგოგის ამ შეოლიდებან გასვლა, უკანასკნელის სიკეთლის მომასწავებელი იქნება. თუ სამუდამო არა, დროებით მაინც.

თავისთავად ცხადია ასეთი წაჯექ-უკაჯექმიდის თამაში შეოლების „უსპეხებს“ ვერას შემატებს: რა-მდენი მცირე ჯამავირი გამნებათ, იმდენი მასწავლებელიც უვიცი და გამოუცდელი გეყილებათ და წინაუკმო. მაგრამ ამას გარდა ასეთი წაჯექ-უკაჯექმიდი ერთ დიდ და აუნაზღაურებელ ზიანს მოუტან კიდევ თქვენ თავს და თქვენ

შეკლებს, ბატონებო, სახელდობრ იმას, რომ
ნდობას დაკარგვათ ხალხშიდაც და მასწილებ-
ლებშიდაც და ამის შემდეგ კი „პროშაი ხი-
ვაისკიე გორშკი“. და მართლაც ვინ უნდა
გენდოსთ: დღეს შეკლის ხსნით, შეწირულე-
ბას დებულობთ, ხვალ ხურავთ, შეწირულებას
თავზე აყრით, დღეს სრულ ჯამაგირს აძლევთ,
ხვალ შეა-უყოფთ და უკლებთ. სადაური პე-
დაგოგიური ხუროთმოძღვრებაა ეს? ეს არ
გავს სახალხო განათლების აღორმინების სურ-
ვილს, ეს არ გავს უმაღლესი ნების აღსრულე-
ბას, ეს საყვალესიო სახალხო სწავლა-განათლე-
ბას სრული განადგურებაა!!.

ხელი.

კვირიდამ-კვირაშვი.

— კორის ეპისკოპოსი ანტონი ნოემბრის დამ-
ლევს პეტერბუგს გაემგზავრა.

საქართველოს ეგზარხოსს თფილისში 22
დეკემბერს მოელიან.

ქრისტიანობის აღმადგენელ საჩ. საბჭომ გადას-
ლო 300 მანეთი ბოდბის შეკლის ქართულ ენის
მსწილებლის მოსაწვევად და 800 მანეთი ჯა-
ვის ეკლესიისთვის საკრებულო სახლის შესაძ-
ნად.

სამღედელოების დელეგატთა (?! კრება
15 დეკემბერს დაიწყება თფილისში. დელეგა-
ტებს დღეში მანეთ ნიხევარი მიეცემათ, გზის
ხარჯი კი უნდა იყისროს იმ რაონების სამ-
ღედელოებამ, რომელიდანც დელეგატები
არიან კრებაზე გამოვზენილი. (სახ. გაზ.)

„შინ საქ.“ № 41 შეკლომით გვქონდა მოყვანი-
ლი იმერ. სამღედ. კრების მოწვევის დრო 16 დე-
კემბერი, უნდა იყოს 18 დეკემბერი. კრების გან-
სახილელი საგნები არიან: 1, სასულიერო და სა-

ქალებო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვის გან-
ხილვა, 2. სანთლის წარმოება 3) მედავიზნეთა
შეკლის დაარსება, 4) ახალ დამსტებითი ჯამაგი-
რების დაყოფა (3650 მანეთია სულ) 5) სანთ-
ლის ნიხრის დაწესება მსგავსად ობილისის სანთ-
ლის ქარხნისა. 6) სემენარიის პარალელურ კუ-
სების შენახვა. 7) მეორე „ნადზირატლისათვის“
საჭირო თანხის გამოძება.

ჩვენი დანაშაურობა.

უსაფუძვლოდ სხვის გამტკუნებას წჯობია
თვითონ სამღედელოებამ თვითი თავი საფუ-
ძლიანად გამტკუნოს და ჯეროგნად გასწორ-
დეს. ყოველი მღვდელი, ხალხში სარწმუნოე-
ბის შემცირების მიზნათ ასახლებს საყველ-
თაო მოძრაობას. მართლიან მოძრაობამ ყოვე-
ლი მხრივ გავლენა იქინია ხალხის ცხოვრე-
ბაზე, მაგრამ, რაც შეეხება სარწმუნოების და-
უცხამ ჩვენშია, ამას მარტო მოძრაობას ნუ და-
ვაბრალებთ, ამაში ჩვენ მღვდელებიც ვართ
დამაშავე. როგორც ვიცით, მღვდელი უნდა
იყოს მაგალითი ხალხისათვის, რომელიც მას
შესჩერებია და მისგან ღებულობს აესაც და
კარგსაც. მიუხედავათ კარგი მაგალითისა,
მღვდელები ხშირად ცუდ მაგალითს აძლევენ
ხალხს. დასუსტდა სამღედელოება და შემცირ-
და სარწმუნოებაც, რის შემდეგ ხალხმა მღვდე-
ლებს ხსრგი შეაქცია. მღვდელები რომ თავის
მოვალეობას დაჰკირვებოდენ, ეს ასე. არ მო-
ტებოდა. მუდამ მღვდელი ყურადღებას უნდა აქ-
ცევდეს თავის მოქმედებას. ცოტასაც დიდი
გევლენა აქვს ხალხშე. ვიღოთ მაგალითი: —
ხალხი მოწინებით მედის მღვდელობან და შენ-
ღობის სთხოვს მას; ამ დროს ზოგიერთი მღვდე-
ლი ცხვირს გვერდზე წაიღებს, თითქოს შენ-
ღობის მიცემას არ კაღრულობს, ჯვარს არ
გადასახავს, თითქოს ჯვარს რა მნიშვნელობა
აქვს, ხმას არ გასუმს და ისე დიდი დამად-
ლებით გაუსვერს ხელს კაცს სამოხვევათ.
ამნაირი მოქმედება მღვდლის სარწმუნოებასაც
ურყევს ხალხს მღვდელსაც აძლევებს და ამ

კარგ ჩვეულებასაც აკარგვინებს. აგრძოვე უ-
დად მოქმედებს ხალხზე ის შემთხვევა, როდე-
საც მღვდელი ხალხს თავთავის დროზე არ
უსრულებს მღვდელ-მოქმედებას და ან
კიდევ როდესაც სულ უარსაც ეუბნება
მღვდელმოქმედების შესრულებაზე, რო-
გორც მაგალითად ხალხის განათელაზე ხოება
ხოლმე. კაცი მიღის და სთხოვს მღვდელი ხახ-
ლის განათელას, რაზედაც მღვდელი უპასუ-
ხებს მთხოვნელს: „რა საჭირო შეიღო, ჩემი
იქ მოსვლა, წადი ეკლესიაზე, მნათე ნახე, ა-
აზრის წყალი წაიღ და სახლი შენ თვითონ
მთასხურე“¹. მართლაც მთხოვნელიც ეგრე
იქცევა, აიაზმის წყალი მიაქვს და სიცილ-ხარ-
ხარით ხალხს ასხურებს, და დამსწრებს ეუბ-
ნება მოდით, ხელზე მეითხვრმეთ, თქვენი
მღვდელი მე ვარ“². დროა სამღვდელოებამ
თავის მოვალეობა შეიგნოს.

მღვდელი ნებტორ დევოძე.

პრიზიკული უანიშვნები.

(„გროვნო“, სალიტერატურო კრებული. წიგნი I.)

სატირა, მართლი რომა თქვას კაცმა,
როდი მსჯელობს, როდი არწმუნებს მყითხველს
არგუმენტებით და ლოგიკურ მოსაზრებით. იგი
იღებს უსოვრებაში დასაცინარს ჩვენს მოქმე-
დებას, უსაქციელობას, რომელიც უკველ ნა-
ბიჯზე შეხვდება დაკვირვებულს აღამიანს და
დასკინის ამ უსაქციელობას, ამ უგვანს მოქ-
მედებას.

მაგრამ ჩვენს პოეტს იმაზე კი არ ეცინე-
ბა, რომ საქართველოში მრივილ არიან პო-
როტი, „ეშმაკი“, ყოვლიდ სახიზორი ადა-
მიანები. არამედ იმაზე ეცინება მწარეთ, რომ
წირვაზე მამა ხერლამპე მეტანიებით და გულ-
ში მუშტის ცემით ღმერთს ევედრება, შეუნ-
დოს და აპტივოს ლოთომა და ლორმულობა,
რომელსაც იგი მაინც ერთგულით და მტკა-
ცედ ემსახურება სიკედილამდე; ან ჩვენებური
მექანიზმის ყოველს წრეში და უკველს სა-
ზოგადოებაში აქ სატიროს დიდი სახოვალო-

ბრივი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. რად-
გან პირდაპირ ცოცხლად ხატავს ცხოვრების
სურათებს, მის ყოველ დღიურ მოვლინებებს
და არა მარტო უგემურ სიტყვებს, უშინაარსო
სიტყვებს ისვრის წარა მარად, უფანაჩენოდ...

ამა, ყური დაუგდეთ დეკანოზი ესტატეს
„რეჩს“, რომა იგი მრავალ ღვდელთა შორის
გაშლილ სუფრას უზის; „მამაოჩენო“.

ქვეყნის გამჩენო,
კურთხეულ იყოს შენი სახელი!
სტომაქს, მერ ე სულს,
ჯიბეს, შემდეგ გული
ჩვენს შეაშველე მოწყალე ხელი!
მოგვეც ჩვენ პური,
არა ციური—

წმიდა ფქვილისა და გამომუხვარი,
მოხარშულები,
მოხრაკულები.

თეოტრი და წითელ ლვინისა ლვარი!
ფლავი, ბოზაში,
და ნივრით ხაში

გვიმრავლე ფრიად, ჰყავ ულეველი;
მოგვეცი ჩვენა
შეება და ლხენა,

საესე ჰყავ ჩვენი დიდი მუცელი!
ესტატე ღვდელსა,
ჩვენს მასპინძელსა

მიეც მნენიბა და ღლებრძელობა;
აწვიშე მახე,
მის წმინდა თავზე
შენი სიუხვე, შენი ქველობა!

რომ სიხარული,
ულრუბლი, სრული
უკუნისიმდე არ მოეზალოს,
და ჩვენ ღვდლებისთვის

იმის ძებზისთვის
ამ გვარი სუფრა მუდამ ეშალოს“...

იმ კაცისთვის, აგრეთვე იმ ხალხისთვისაც,
რომელიც უშინაარსო, ქარაფშუტულ ცხოვრე-
ბის ჩაუთრევია, მაგრამ სულ მოლად მაინც
ჯერ კიდევ არ წაურყენია იმის ცხოვრება და
სიცუცლე, სატიროს დიდი, ძალიან დიდი
მნიშვნელობა აქვს. ისინი გაიგებენ, რომ არის

ნაზი, შვენიერი მწერლობა, არიან ცხოვრების მხატვარინი, რომელნიც დასკინიან ამ ხალხის უსაქცელობას და სისაძაგლეს, არიან კეტილი ადამიანები ამ ქვეყანათ, რომელნიც თლად დაღუპულად არა თვლიან იმათა და მზადაც არიან თანაგრძნობის და შემწეობის ჩელი გულწრფელად გაუწოდონ ამ უბედურთ და უჩვენონ მათ ლირსეული, მართალი და კეშმარიტი გზა ცხოვრებისა. წმინდა სალიტერატურო სატირულ ნაწრობიერებში ადამიანი ნახავს ისეთს მოყვასთ, რომელნიც პირწმინდათ არიან გამომზეურებულნი და დახატულნი ლიტერატურაში და ამით იგი, რა თქმა უნდა, შეისუბუქებს თვის პირადს ტანჯვას, გამწარებას და მწუხარებას, რომელიც მის გულში ჯოჯოხთად გადაჭცულა.

ეს ცხოვრება, ეს ქვეყანა, გულის ეს ლტოლებილებანი და სულის მისწრაფებანი, რომელნიც ჯერ არ გამოუცდია, არც უნახავს ახალგაზდა ადამიანს, ამიერიდან გულით შეზიტლდება ცოცხალი გულმკერდის პატრონს. ეს საზიზრობა, დახატული ასე ხელოვნურად, მართლად და სინამდვილითაც, პოეტურად, რომელიც ცოცხლად გამოუყვანია ავტორს ისეთის ამათრთოლებელის, ამაკან კალებელის, ამპრიალებელის გულწრფელით და ნიკიერებით, მიუკილებლად, იმრაქმედებს ადამიანის სულის განვითარებაზე, ალძრავენ მასში კეთოლ ჰმბილურ, საიმედო ინსტინკტებს, გაუფართოებენ აზრებს, გაუმაგრებენ ხასიათს და მიანიჭებენ მას თხოვს ძალას პატიოსანი და სასარგებლო მოქმედებისთვის...

ბოლოს, აქვე დაინახავს ეს მკითხველი სინამდვილით იმ მოჩვენებასაც, რომელიც სამაგალითოდ და მისაბაძეათაც ყავდა მას წარმოდგენილი, თუ რა საცოდავი, საზარელი, დაწვრილმანებული ინტერესებით ყოფილი შემოკილი, ჩაყლაბული ეს მოჩვენებული სალახია, რა დაცუმული და გამოფიტებული ყოფილი ბუნება, მოელის ამ ადამიანებისა, იმ ჯულიებისა, რომელიც მომარტივებას და გადატენებას აუცილებელი იყო, მაგრა ამარჯვება, სხვა ჩვენ აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებთან შედარებით, ხასიათების გამონახვა სოფლად და იმათი მხატვრულადც იღწერა. იმისი მოთხოვანი უფრო მომეტებულად სოფლის ცხოვრებას აღწერს მხატვრულად და, უნდა ვთქვა, რომ დიდი დაკვირვებით და პოეზიით შეუძლია მას ნახული და გაგონილი ამბავის გამოხატვა. ვ. ბარნოვი ისეთი ძლიერი ცოცხალი ნიკით არის დასაჩუქრებული, რომ იმას ძალიან ემარჯვება, სხვა ჩვენ აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებთან შედარებით, ხასიათების გამონახვა სოფლად და იმათი მხატვრულადც იღწერა. იმისი მოთხოვანის გმირები მომეტებულად იშვიათ ან განვიენებულ პირებს არ წარმოადგენენ და მკითხველს ძალიანაც გეცნობებიან და გენათესავებიან. ავტორი არა ხმარობს გაბერილ, მაღალ კილოს თვისი უნახეს გრძნობების გამოსახვად, ამიტომაც, იმის მოთხოვანებს ბუნებრივი ცხოვრებულობა და ზომაზე გადუჭარბებლობაც ეტყობათ. ვ. ბარნოვის მოთხოვანებში თითქმის ყოველგან კარგი, ძალიან მოსაწონი სურათებია, ცხოვრების სუნებია გა-

რული კალმით ჰიდათ ნიკიერმა მგლსანშა კ. მაყაშეილმა...

„გრდემლში“ ბატონის ვ. ბარნოვს დასტამბული აქვს კარგად დამუშავებული მოთხოვა: „თებერის დანიშნული“.

ვ. ბარნოვი ნიკიერი ქართველი მწერალი. თუ არა ვცდები, იგი პირველად „კვალის“ ფურცლებზე გამოვიდა, სადაც პირველად მან მოათვასა თვისი პირველი ისტორიული მოთხოვა — „სვიმონ ხელი“. მას აქეთ მას კალამი ხელიდან არ გაუგდია და გულმოდგინედ შორს პრავინციაში გადაგდებული ჩინებულ მოთხოვანებს წერდა უურნალ „მოამბეში“ და სხვა ქართულ გამოცემებში. რასაკირველია, თვილისში რომ ეცხოვრა, როვორც მიღებულია, წრესაც გაიჩნდა, ბერისაც დაიმეგობრებდა და კრიტიკასაც ხმას ამოაღებინებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ბ. ვ. ბარნოვი განაგრძობდა მუშაობას ისე, რომ ჩვენი ქართული სალიტერატურო კრიტიკა იმას სრულებით ყურადღებასაც არ იქცევდა. ყურადღების ღირსი კი იყო ვ. ბარნოვი...

იმისი მოთხოვანი უფრო მომეტებულად სოფლის ცხოვრებას აღწერს მხატვრულად და, უნდა ვთქვა, რომ დიდი დაკვირვებით და პოეზიით შეუძლია მას ნახული და გაგონილი ამბავის გამოხატვა. ვ. ბარნოვი ისეთი ძლიერი ცოცხალი ნიკით არის დასაჩუქრებული, რომ იმას ძალიან ემარჯვება, სხვა ჩვენ აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებთან შედარებით, ხასიათების გამონახვა სოფლად და იმათი მხატვრულადც იღწერა. იმისი მოთხოვანის გმირები მომეტებულად იშვიათ ან განვიენებულ პირებს არ წარმოადგენენ და მკითხველს ძალიანაც გეცნობებიან და გენათესავებიან. ავტორი არა ხმარობს გაბერილ, მაღალ კილოს თვისი უნახეს გრძნობების გამოსახვად, ამიტომაც, იმის მოთხოვანებს ბუნებრივი ცხოვრებულობა და ზომაზე გადუჭარბებლობაც ეტყობათ. ვ. ბარნოვის მოთხოვანებში თითქმის ყოველგან კარგი, ძალიან მოსაწონი სურათებია, ცხოვრების სუნებია გა-

შლილი, რომელიც ავტორს პოეტურადაც
აქვს გადმოცემული.

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

გურია-სამეცნიეროს სანთლის ქარხნის
შესახებ.

დღი ხანია, რაც გურია-სამეცნიეროს
სანთლის ქარხნიდან ყალბი სანთლი გამოდი-
ოდა, ყველა ამჩნევდა ამ გარემოებას, სამღვდე-
ლოების კრებებჩედაც ბეჭრჯერ იყო ლაპარაკი
ამის შესახებ, მაგრამ არ იქნა საქმეს არა ეშ-
მეს და ცდილობს, რაც შეიძლება, იაფათ და-

ველა რა. ბოლოს მოიჯარადრეს მიანდევს თე-
ლათ იმ პირობით, რომ 30 მანეთათ ჩაეგარე-
ბია ფუთი გაკეთებული სანთლი. საქმეს ვერც
ამან უშველია და დღეს, როგორც გვესმის
მოიჯარადრე დაითხოვეს და საქმის მოწყობას
სხვა რიგათ აპირებენ. ჩვენ არ ვიცით კელავ
რა წესზე დადგება სანთლის წარმოება, მაგ-
რამ მეტათ არ მიგააჩნია ძმური რჩევა მიღსცეთ
მოძმე სამღვდელოებას. რადგან ძალიან ძნე-
ლია ერისკაც მოიჯარადრის ნდობა, რომელიც
ასე თუ ისე ვაჭრული თვალით უცურებს საქ-
მეს და ცდილობს, რაც შეიძლება, იაფათ და-

ახალი უურნალი „განთიაზი“

1913 წლის პირველი იანვრიდგან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ქრეკელოვანი უურნალი

„განთიაზი“

უურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

- 1) ლვოსიმეტყველება და ფილოსოფია;
- 2) არქეოლოგია და ისტორია (სამქალაქო და საეკლესიო);
- 3) პოლიტიკა და ეკონომიკა;
- 4) მედიცინა და ჰიგიენა;
- 5) ბელეტრისტიკა და პოეზია;
- 6) სასოფლო მეცნიერება;
- 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია;
- 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა;
- 9) სახელმწ. საბჭოსა და სახა-
თბორის, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიშა;
- 10) მამათა ცხო-
ვება;
- 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მოელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. უურნა-
ლი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელიოტია: წლიურათ 5 მანეთი, ნებვარი
წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი უველგან 10 შაუ-
რი. „შინაურ საქმეები“ ხელის მოწერლებს უურნალი წლიურათ 4 მანეთიდ დაეთმობათ,
ამავე ფასში ეთმობათ უურნალი სახალხო შეკლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამ-
კითხველოებს. წერაკითხების გამარტინებელ საზოგადოებას თავის შეკლებისათვის უურნა-
ლი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. უურნალის დაკვეთი შეიძლება დღეიდგავე ქ. ქუ-
თაისში ი. კოკიშვილის გაზეთების ინტრაქში, მთავრიშვილის და ას. წიგნის მაღაზიაში და
რედაქტორითან. წლიური ფასის გადახდა ნიშილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს
სამი მანეთი და პირველ იქნის 2 მანეთი.

რედაქტორის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქტურა „განთიაზი“.

რედაქტორ-გამომცემული მრ. ხ. მცენონიძე.

იჯინოს საქართველი და ძვირათ გაასაღოს, ამიტომ საქორთვის სანთლის წარმოება ისეთი იდა-მიანების ხელში გადვიდეს, რომლებიც, გარდა ფაქტული ანგარიშისა, სანთელს უყურებენ, როგორც საეკლესიო საქმეს, რომელთა პირდაპირ ინტერესს შეადგენს, რომ სამთელი წმინდა იყოს. ისეთ დაწესებულებათ ჩვენ მიგვაჩნია მონასტერი, სადაც ბერები უსაქმინდისაგან მხოლოდ ჭირიერანობისა და მთქნარების მეტს არის აკეთებენ. ამით ბერებს საქმეც გაუზღვავთ და მონასტერიც სიღარიბეს თავს დაახრევს, რადგან სანთლის ჩამოსასხმელი ქირა მონასტრის სასარგებლოთ დარჩება. რა თქმა უნდა, აქაც ყურისგდება და მიხედვა უნდა საქმეს, რაც ადგილობრივ ეპისკოპოსის მოვალეობას უნდა შეადგენდეს. იმავ ლცდათ მანეთად რომ სამღვდელოებამ მონასტრიდან გაკეთებული სანთელი იყიდოს, თითონაც არაფერს წააგებს და მონასტერისაც შეეწევა. ისეა საქმე დაყენებული იმერეთის ეპარქიაში და, უნდა მართალი ფორმა, ასც არაფერი სამღვდელოებას წაუგია და გელათის მონასტერიც (სადაც სანთლის წარმოებაა) რაღაცას დაემსგავსა.

თუ ვინიცობაა გურია-სამეგრელოს მონასტრებში არ მოხერხდება სანთლის წარმოება, ურიგო არ იქნება რომ ეპარქია სანთელს გელათის ქარხნიდან ითარჯებდეს იმავე ფასათ, როგორც ეს მას ფოთში საკუთარ ქარხნიდან გამომჰქმნდა, ე. ი. გაიღებდეს მხოლოდ სანთლის გასაკეთებელ ხელფასს. ეს აზრი ბევრს არ მოწონება, მაგრამ შევხედოთ საქმეს სარგებლობის მხრით და თავი დავანებოთ უადგილო თავმოყვარებას. თუ საკუთარი ქარხნიდან გაკეთებული სანთელი 30 მანეთად გამოჰქმნდათ დუქნისოვის და არაფერს იგებდენ, რატომ არ შეიძლება და რა არის აქ სათავილო და თავმოყვარების შემლახველი, რომ იმავე ფასათ გელათის სანთელი მივიღოთ ფოთში. ეს საქმე მცირეოდენ დამაკავშირებდელ და დამაახლოებელ საქმესაც გაუჩენს რა მეზობელ ეპარქიას, რომლებიც პირ-იქნით უნდა ეძებდენ ისეთ დამკავშირებელ და დამაახლოებელ რამეებს.

უკუვაგდოთ დამაქცეველი თავმოყვარება, მშურად ჩავკიდოთ ერთმეორეს ხელი, იმ ფიქრით რომ ჩვენი მიზანი ერთია, როგორც ჩვენი სამშობლო ერთია, და მაშასაღამე, თუ რამეს გავაკეთებთ, სადაც უნდა გავაკეთოთ, საერთო მიზნისა და მამულისათვის გავაკეთებთ.

იმერელი ლელელი.

მოწერილი ამბები.

საქეურელოს სამღვდელოების ქრება.

26 ნოემბერი დ. ახალსენაკში მოხდა წლიური კრება მეგრელის სამღვდელოების დეპუტატებისა შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და დამტკიცებისა. წრევანდელი ხარჯთაღრიცხვის სამღვდელოებისაგან 4000 მანეთით მეტს თხოულობდა შერშანდელთან შედარებით. დეპუტატები ჩვეულებრივ მსჯელობას შეუდგენ. პირველათ წავითხულ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის მოწერილობა სასწავლებლის ზედამხედველის არჩევანდრიტ სტეფანეს სახელზე, რომელსაც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოებია სწერს, რომ თანახმად მისი რაპორტისა სამღვდელოების დეპუტატთა კრებაზე დასასწრებლიდან სტული გადამწყვეტი ხმით ნიშავს ამავე სასწავლებლის ინსპეკტორს ბ. იერონიმე არსენიშვილს. ასეთმა არა ჩვეულებრივია განკარგულებამ სამღვდელოება ეჭვში შეიყვანა და შეიქნა მსჯელობა მისი შესახებ, მიიღონ თუ არა ბ. არსენიშვილი გადამწყვეტი ხმით და რამდენად კანონიერი იქნება ასეთი განკარგულება. ბ. არქიმანდრიტის მოქმედება და ეგზარხოსის განკარგულება უკანონოდ იქმნა ცნობილი და ბ. წარმომადგენელს ი. არსენიშვილს წინადაღება მიეცა დასტოოს კრება. მაგრამ, როგორც მოსალონელი იყო, ბ. ინსპეკტორმა ფეხი გაიდგა: მე მთავრობამ მიბრძნა და თავიც რომ გამადებინოთ, კრებას ვერ დატოვებო. კრებას გადასწუვიტა, ტელეგრამით იწოდოს ობრიპორულობის, რით დაიმსახურა მეგრელის სამღვდელოებამ ასეთი უნდობლო-

ბა, რომ პ. ინსპექტორს გზირათ უყენებენ. შეუდგენ ტელეგრამის წერას და განმეორებით სოხოვკის პ. ინსენიშეილს ეხლა მაინც დასტო-კოს საკრებულო დარბაზი, რაღაც საქმის გან-ხოლოს სამღვდელოება არ აპირებს, მაგრამ სამღვდელოების ველრება კლდეს შეეჯახა და უმნიშვნელოთ ჩინარი. მიუხედავათ ამისა, სამ-ღვდელოებამ თავისი ჰქნა: შეადგინა ტელეგრა-მა და სინოდის ობერპროკურორს გაუგზავნა. ენათო რა იქნება.

არ შეგვიძლია არ აღვინშნოთ პ. ზედამ-ხედველის არქ. სტეფანეს თავგასულობა. ჯერ კრება არც კი შესდგომოდა ხარჯთაღრიცხვის განხილვის, რომ მან მოითხოვა კრებაში შემო-სვლა, სადაც სხვათა შორის განატანადა: „გირ-ჩევთ, ხარჯთაღრიცხვა უცვლელად მიიღოთ, თქვენივე შვილებისა და სასწავლებლის სასარ-გებლოდ, თორემ ნუ გეწყინებათ და მე მაინც ჩემსას გავიტანო“. საკვირველია, თუ ეს შესა-ძლებელია, მაშ ჩისლა მაქნისია სამღვდელოე-ბის კრება? კრებაშ ეს გარემოებაც აუნია-ობერპროკურორს, მიუხედავად პ. არქიმან-დრიტის განცხადებისა, რომ მას ეს არ უთქვამს და ამიტომ არც უნდა შეეტანაო ტელეგრამა-ში.

5.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამათ რედაქტორ!

უმორჩილესად გოხოვთ გაზეთ „შინაურ საქმეებში“ ადგილო დაუთმოთ ამ ჩემ მიირე წერილს, რომელიც მდგრამარეობს შემდეგში: წელს 13 ნოემბერს ერთხმა ჩემ მა მრევლობაგან მა სოფლის ვაკისუბნის ეკლესიაში ჯარი და-იწერა. ადგილობრივ მღვდელს პ. მიხეილ შესხებ ერთი უშველებელი კორინტელი იყენებია იმ მიზეზით, რომ ჩემგან მიკემულ მოწოდებაზე მე დავითხეს ხელი არ ქონდა მოწერილი. მე არ უარ ვყოფ იმას, რომ შედივითხეს მართლაც ხელი არ ქონდა მოწერილი, რაღაც არ დამ სწრებია. მაგრამ ეს გარემოება რომ საქმეს ისახეობს უშლის და მოწმობის კანონიერების არ არღვევს ეს პ. მესხმაც კარგოთ იცის. სხვა შემთხვევაში იგივე პ. შესხი ხშირიდ კანონებ-

საც თავზე ახტება და აქ კი სულ უადგილოთ გაცხარებულია. მოვაგონებ მ. შესხი, რომ მან ერთ მოტაცებულს მღვდლის ქალიშეილს ჯვარი დასწერა სრულიად უმოწმობოთ და ეპისკოპ-ისის განკარგულების წინააღმდეგ. ასეთი და ამის მსგავსი შემთხვევები გვერდი შეგვიძლია მოი-ყვანოთ მ. მიხაილის პრაკტიკიდან, მაგრამ ამით პატივურებულ მეითხველებს თავს არ შე-ვწყენთ. არც ეს შენიშვნა გვანდოდა მოგვე-თავსებია გაზეთში, მაგრამ ცოტათ თუ ბევრად საზოგადო მნიშვნელობას ვაძლევთ. სახელ-დობრ იმას, რომ მღვდელმა თავისი თანამდა არ უნდა გაღინძლოს და დამციროს მრევლის თვალში, როცა ხედავ, რომ მასი მოქმედება საზოგადო კანონებს არ აღლვევს. ეს კი ხში-რად ხდება ჩენ პრაკტიკაში ან თავს გამოსა-ჩენათ ან ანგარიშის მიზეზით.

მდგ. ა. ხოჭავა.

მამათ რედაქტორ!


უმორჩილესად გოხოვთ თქვენს პატივუ-მულ გაზეთში აღგილი დაუთმოთ შემტევ საპა-სუხო წერილს. „შინაური საქმეების“ მე-38 ნომერში მოთავსებულია ჩემს შესახებ ვიღაც ხუცესის წერილი „უსამართლო დაბეჭდება“, რომელიც თავიდან ბოლომდის სიცრუით და ცილის წამებით არის აღვისლი. პ. ხუცესი ბანებს, კითომ მე ცილის წამებით გულს უწუ-ხებდე, ვტანჯავდე და სულს უუშუოთებდე დეკ. რომანოზ დეკანოსიდეს. ეს ტანჯვა, ცილის წა-მება და სულის აღშუოთება კი მას აზრით, თურმე იმში გამოიხატება, რომ გამინზობას ხარავოულის სამრევლო სკოლის ეკკლესიაში, რომლის გამგეთ მამა რომანოზი ითვლება, რევიზია მომეხთინა და შემოსავალ-გასაელის წიგნები გამიშინჯა, როდესაც ამის უფლება სრულებითაც ამა მქონია და ვიღაც გარეშე ვინმე ვამანებულება. მოვახსენებ სულაერ ხუ-ცეს, რომ ვინც კერძო ინტერესებით არ არის გამოსკვალებული ისე, როგორც თვითონ ბძანდე-ბა, აუცილებლათ ეცოდინება, რომ შე, რო-გორ ბლაორჩინს, სრული უფლება მაქვს ყვე-

լա հեմքամի հիմնեցն սածլալոհին և պլա-
սով մատուցուած առաջորդարու մատեղուած և սուլու
թերուած առ գամուսաբարձա. հաջանաւ այս սի-
րունու սայութեցաւ յո առ Ֆյոնու սածիալու
նուցու վարմուցեցա. և հաճակու չգուցեցա,
ամսատուու, ցոնս համ թուզուցա, թայութեա
պացուածսամլուցու ոմյուրուու քակուուու ցո-
տորցու Մեմլուց հեծուուու պա, և մուրու ամ
սացնու Մեսաեց նածանցեց, հոմելու գամունչ-
ուուու հիմու Մեյութեուու և առ ձայնուցեցաս
մուցեցա, հաջան թ. հոմանուու, սպուու նորու-
ծուու, հացուցեցա, սպայուուու լարիա, հուց-
սաւ ալնունու պայունուու հեցուուու մուտց-
նա լացանու, և Մեմլուց տցուու և ձածուու
մշացրու, ու առ գայունուու յամարտուու ձայ-
նուցա, և ունուու թամբա: ծածուուու զետեց-

ցա, ու դարձաւու եղացաւ: „20 յուլի 1912 թ.
Благочинный на то и благочинный, что
иметь право ревизовать все церкви
Епархиального ведомства его округа и
это никако ни манкирует ни завиды-
вающаго школою, ни священника-учителя“
և սեցա..

Ցլ լոմինու դեկանու յ. զետեցա.

Հեծայիւրու մլուց և առաջնորդ-
գամումը մըլու ուստա լայացա.



ՌԱՅՈՒՄ ՍԱԱՐԵՎ

Թուշարագրե վայտ. վալ. վահի. նայուտու

-*• ՔՃԱԹՈՒՇՈՒՍՃ •*-
ՀԱՅ

Թեռլու շրու վարմաթագային վայտ. և
ծատումու մանրու ամ մմշենու եանցմուն
ուարնեծուա

ՈՒ Ո. Բ.

ՄԱԿԱՐԵՆՈՒ ԹԱՐԱՎԱՐԱԿԱՆ

Ամսաթու առաջնու ժութեա, ուղարկածու նախուա.

Ծառայութեա № 18.

З р.
въ годъ за
24 книги.

БЮЛЛЕТЕНИ

ЛИТЕРАТУРЫ и ЖИЗНИ.

Двухнедѣльный журналъ НОВАГО ТИПА.

Открыта
подписка на
1912—13 г.
(4-й г. изд.)

Задача журнала — всесторонне отражать картину идеиной, духовной жизни страны. Журналъ печатаетъ только то, что имѣть длительный интересъ, интересъ, такъ сказать, вѣчности, что раскрываетъ жизнь въ ея основѣ, что углубляетъ душу читателя и расширяетъ его умственный кругозоръ. Библиогр. отдѣль представленъ въ такомъ исчерпывающемъ видѣ, какъ ни въ одномъ изъ существующихъ журн. Библиографія, какъ она ведется въ „Бюллете.“, необходима для самаго широкаго круга читателей. ♦ О такомъ типѣ издания мечтали Г. Успенскій (см. „Русск. Бог.“, 1912 г., III кн. „Изъ переписки Успенскаго“) и Ф. Достоевскій (см. бесѣду Дроздовой съ Шатовымъ въ „Бѣсахъ“). ♦ За истекшій годъ въ журн. напечатано 350 статей и около 1,000 отзывовъ о кн., дань перечень 2,500 новыхъ кн., и приведено содерж. 40 журн. за весь годъ.

ОТЗЫВЫ ПЕЧАТИ.

„Утро Россіи“: „Журн. заслуживаетъ особаго вниманія, какъ период. органъ, действительно, нового типа, потребность въ которомъ ощущалась давно. Въ журн. сообщается все наиболѣе интересное, что дано текущей печатью“. ♦ „Русск. Вѣдом.“: „Бюллете.“ довольно хорошо справляются со своею задачею. Они знакомятъ болѣе или менѣе обстоятельно съ выдающимися явленіями современной жизни“. ♦ „Русск. Школа“: „Бюллете.“ дѣлаютъ свое дѣло умѣло и живо. Они любопытны даже для легкаго чтенія. Какъ справочникъ же, „Бюллете.“ оказываютъ огромную услугу“. ♦ „Огни“: „Бюллете.“ завоевываютъ себѣ все болѣе и болѣе симпатію публики. Трудно представить человѣка, съ известными культурными запросами, который бы не цашелъ для себя чеголибо интереснаго въ журн. Онъ даетъ въ каждомъ номерѣ статьи о новыхъ теченіяхъ въ литературѣ, о всѣхъ вопросахъ

саѣхъ, затронутыхъ литературой, о всѣхъ новыхъ книгахъ, о всѣхъ журн.“. ♦ „Русск. Сл.“: „Въ журн. запечатлѣна вся литературная жизнь года“. Ему также нельзя отказать въ значеніи хорошаго справочника, пользованіе котор. облегчается соотвѣтств. указателями“. ♦ „Совр. Сл.“: „Бюллете.“ переплетены теперь въ два изящныхъ тома и представляютъ собой обзоръ минувшаго года въ литератур.-художеств. и идеиномъ отношеніи. Задача журн. имѣть несомнѣнно культурное значеніе“. ♦ „Голосъ“: „Бюллете.“ отмѣчаютъ все болѣе или менѣе выдающееся во всѣхъ отрасляхъ науки и литературы... Въ журн. сосредоточено все новое, что позволяетъ постоянно быть въ курсѣ настроеній и исканій, какъ отечественной, такъ и міровой мысли. Дешевая цѣна дѣлаетъ его доступнымъ широкому кругу читателей“.

ПРОСПЕКТЪ ПО ТРЕБОВАНІЮ ВЫСЫЛАЕТСЯ БЕЗПЛАТНО.

Подписная цѣна: на годъ — 3 р. Разсрочка: 1 р. — при подп., 1 р. — къ 1-му янв., 1 р. — къ 1-му мая, для сельск. учит. на годъ — 2 р. 50 к.

Подписной
годъ
начинается
съ 1-го
сентября.

Подписка принимается во всѣхъ книжн. магаз. и
почт. учрежд.

Контора и ред.: Москва. Хлѣбный, д. 1.

Изд.: В. Крандіевскій и В. Носенковъ. Ред. В. Крандіевскій.

Можно под-
писываться
съ 1-го чис-
ла кажд.
мес.